№ 156 4 მარიამობისთვე, პარასკევი 1866—1878 4 მარიამობისთვე, პარასკევი № 156

დროება

ყოველ დღე ოშაბათს გარდა

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловъ სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловъ სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Заграницу მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ. ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Даубечденные статьи авторъ не возвращается.

საქართველო

დღიური

*** წელს, უეჭველია, ღვინის სიძვირე მოგველის, რადგან ქახეთიდგან გვწერენ, რომ ყურძენი ზოგიერთ ალაგას ძალიან გაფუჭებული არის ნაცრისაგანაო. ღვთით, ქახეთისაკენ ჯერ სეტყვა კი არა ყოფილა; მაგრამ, თუ გაწყრა ღმერთი და ეს ჩვეულებრივი უბედურება წელსაც ეწვია ქახეთის ვენახებს, ამბობენ, რაც შარშან მოვიდა ღვინო, იმის ნახევარიც არ მოვაო და ღირსებითაც იმაზე სუსტი ღვინო იქნებაო.

*** იმერეთიდამ და ქართლიდამ კი არა ისმის-რა ჯერ-ჯეროობით ვაზის ავათმყოფობაზედ.

*** ქალოობის დრო მოვიდა და უფ. ნ. ავალიშვილის ახალ კევრს გასავალი მოეძატა. ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართლისა და ქახეთის ბევრი ადგილიდამ მოუვიდა ახალი კევრის მომგონს თხოვნა, რომ საჩქაროთ დაგვიმზადეთო. უფ. ავალიშვილი ამზადებს რამოდენიც შეუძლიან, მაგრამ, რადგან საკმაო თანხა არა აქვს, სახელოსნო ვერ გაუმართავს და ამის გამო ჯერ-ჯეროობით ყველა მოთხოვნილება ვერ დაუკმაყოფილებია.

ვინც კი გამოსცადა ეს ახალი კევრი, ამბობენ, რომ კარგათ და ბლომათაც ლეწავსო.

*** ჩვენი გაზეთის გუშინდელს გაზეთში დაბეჭდილი იყო ახალი წესდებულება თფილისის პოლიციისა, რომლის ძალითაც ქალაქი ათ უბნად არის გაყოფილი და თითოეულ უბანში იქნება ცალკე პოლიციის გაძგეობა და პრისტავი.

მომეტებული ნაწილი ამ პრისტავებისა, როგორც სიიდამ სჩანს, ისევ ძველი პოლიციის ჩინოვნიკები არიან. მაგრა სადამე დიდს ცვლილებას არ უნდა მოველოდეთ ჩვენს პოლიციაში. საქმე მაინცა-და-მაინც იმაში როდი მდგომარეობს, რომ 16 განყოფილების ადგილად ქალაქი 10 უბნად გაჰყონ და პოლიციის აფიცრების ადგილად ძველ აფიცრებს პოლიციის პრისტავები დაუძახონ. საქმე იმ პირებშია, რომელთაც შინდობილი აქვთ პოლიციის ჩინოვნიკების მოვალეობა. ცვლილება, რეფორმა შეიძლება ჩინებული და გონივრული იყოს; მაგრამ, თუ აღმასრულებელი პირები არ ვარგანან, მარტო რეფორმით საქმე არ გარიგდება.

*** „თფილისის მოამბეში" იწერებიან ოზურგეთიდამ:

„ამ უკანასკნელ დროს ერთობ გახშირდა აქეთკენ ქურდობა, განსაკუთრებით სამზღვარზე. ქობულეთში იპარავენ და აქ მოჰყავთ ან მოაქვთ გასასყიდლად, ჩვენში მოპარულს საქონელს ქობულეთში ჰყიდიან.

„ამისთანა სიძვირე თავის დღეში არ უნახავს კაცს, როგორიც ახლა არის ბურიაში; ვირვანქა ხორცი ოზურგეთში სამ შაურად ისყიდება. ამის მიზეზი ის გარემოება გახლავთ, რომ ბევრი ფული არის ამ ჟამად, ომიანობის წყალობით, ჩვენს მხარეში გაფანტული.

„ყანები კარგია აქეთკენ წელს, მაგრამ ღვინო კი ნაკლებად მოვა, რადგან ვაზი ზაახდინა ავათმყოფობამ."

*** ჩვენი ცირკი ახლა კი არის იმდენი ყურადღების ღირსი, რომ ერთხელ მაინც შევიდეს კაცი და ნახოს ახლადჩამოსული მოთამაშეები. ამ მოთამაშეებში ყველაზე უფრო შესანიშნავია ამერიკელი ოჯახი, რომელიც შესდგება მამისაგან, დედისაგან, სამი მცირეწლოვან ვაჟისა და ერთის ქალისაგან. არც ერთი ამ ბავშვებში 10 წელზე მეტის არ უნდა იყოს. მაგრამ ისეთს სიმარჯვეს, ვარჯიშობას, ოსტატობას და სხეულის გაწრთვნას იჩენენ, რომ ძალაუნებურად გააკვირვებენ ადამიანს.

ერთის სიტყვით, როგორც ზევით მოგახსენეთ, ერთხელ-ორჯერ მისვლა ცირკში და ამათი ნახვა ღირს.

*** „თფილისის მოამბეში" იწერებიან, რომ უმაღლესი მთავრობისაგან დანიშნულს კამისიას, უფ. პრიბილის თავსმჯდომარეობით, უეცრად რევიზია მოუხდენია თფილისის დამოქნაში და ბევრი შესაძრწუნებელი უწესობა აღმოუჩენია ამ დამოქნის ჩინოვნიკების მოქმედებაში. ამბობენ, რომ რამოდენიმე ჩინოვნიკს დამოქნისას ახლაც მოუსწვრიათ სამსახურის თავის დაბენება, რადგან სამართალში მიცემას უპირებდნენო.

ამბობენ აგრეთვე, რომ რაც ეს რევიზია მოხდა, თფილისის დამოქნის შემოსავალი ერთი-ორად მომეტებული შეიქნაო.

*** ზემოხსენებულიე გაზეთის სიტყვით, გასული ივლისის 24 რიცხვიდამ მოუსპიათ ფერის სასაფლავოზედ მიცვალებულების დამარხვა. დროებითი სასაფლავო ჯერ-ჯეროობით მახათაზე არის არსენალთან, და შემდეგ სამუდამო სასასაფლაოდ, როგორც მოგეხსენებათ, ამორჩეულია ადგილი ქალაქის წრეს გარეთ, ნავთლუღის ქვემოთ.

„დროების" კორრესპონდენცია

სიღნაღი, 28 ივლისს. (დასასრული). ჩვენი დეპუტატების კარგი ხასიათი ის არის, რომ რაც კი შემკულობა შეეწირებათ ხოლმე რომელსაც გაზეთში, მაშინვე საზოგადოებას აგონებენ, ვითომც დეპუტატებს კი არა—თვით საზოგადოებას ჰკიცხავენო და მით მთელს საზოგადოებას გულში უნერგავენ კორრესპონდენტებზე უკმაყოფილებას. მათი ცდილობა, ნამეტნავათ გასქელებული დეპუტატისა, უქმათ რჩება...

ჩვენი მაზრის გული, პატიოსანი სიღნაღი, იმნაირი საზოგადოებით არის ჩასახლებული, რომ სახალხოდ ლაპარაკი სიმართლით შეუცდენელად შეუძლებელი საქმეა. ამისთვის კერძო პირებზე ლაპარაკის იძულებული ვხდებით.

ჩვენ, სხვათა შორის, მალე ვიდღეობებთ, ვგონებ, აქაური გამომძიებელის გამოსტუმრებას. ამბობენ, დღე-დღეზე მოემზადება, მიდისო;—აქამდინაც რომ გაგვცლოდა—ძრიელ, ერთი ურმის-ტოლას დაუმადლებდით. საქმე ის არის, თუ იმ ერთ ეკკლესიისავით მოუხდეს: ვიქცევი, ვიქცევიო, და არ ეღირსა დაქცევა. თუნდაც მართლა ისევ დარჩეს, ღმერთმა კი ნუ ქნას,—ბევრი არაფერი წახდება.

ღმერთმა დიდხანს აბოგინოს ჩვენში საკეთილოთ ჩვენი მოსამართლე, მშვიდი, წყნარი, პატიოსანი, მიუსყიდველი—თორემ ხოსროიანცი ვერას გვიზამს. საკვირველია, უფ. ხოსროიანცს ძრიელ უყვარს სიქადული თავის კეთილ-მოქმედებაზე, სიზარმაცეზე, მიუსყიდლობაზე. მაგრამ როგორ უნდა შევაფარდოთ ერთმანერთს მისი ლაპარაკი და საშინელი ხმები, რომლებიც სიღნაღში მოფენილ-

ნი არიან?! აქ ლაპარაკობენ, ვითომც რაღაც საჩივარზე პასუხსა სთხოვენო და მის გამოისობით აქედგან გადაჰყავთო. რაღაცა ქრთამზეა ლაპარაკი, ცხენზე და მის აგენტებზე... ჭორებს იქნება გძელი ბოლო ჰქონდეს—არ ვიცით....

აგენტებმა მომაგონეს ერთი გლეხის ნაამბობი ამ ახლო ხანებში:

— სილნაღის სუდში ვიყავით დაბარებული და სუდია არ იყო; ასე თქვეს, რომ ახთალაში (ბურჯაანს) საბანებლათ წავიდა ავათმყოფობის გამოო. ჩვენც რაღას ვიტყოდით, ავათმყოფს კაცი რას დაემდურება. მივდაღუნული შინ ვბრუნდებოდით და მაშინ იქაურმა მწერალმა გვიბძანა მოგვეცადნა, სანამ სუდიის თანაშემწე შემოვაო, რადგან მაგასა აქეს ჩაბარებული საქმეები სუდიიდგანაო. ჩვენც შევბრუნდით უკან, ვიცადეთ საღილობამდი—პომოშნიკი არ ჩამოვიდა; შემოვიდნენ მარტოთ სამი სილნაღელი კაცი და დაიწყეს ჯავრობა სუდიაზე და ჩვენც გვაქეზებდნენ იჩივლეთო, პომოშნიკს რა საქმე აქეს აქაო, სუდიის ვალი არისო „რაზბოოი?“

როგორც გამოჩნდა იმათ საქმე არა ჰქონიათ სუდში.!...

ეს ამბავი, როგორც მომრიგებელ სასამართლოში მსახური მწერლები ლაპარაკობდნენ, ასე ყოფილა: სუდიას ჩაუბარებია წინა კვირაში თავის თანაშემწისათვის საქმეები, და თითონ ბურჯაანში წასვლა დაუპირებია ავათმყოფობის გამო. თანაშემწეს თავის უფროსის სიტყვა, რა საკვირველია, მოწიწებით მიულია და მასთან უთხოვნია, რომ ფორმალისტობა რა საჭიროა, ოკრუჟნის სუდი და პალატა რაღათ გინდათ, თვითონ მე გავარჩევო საქმეებს, სანამ თქვენ უკან დაბრუნდებითო. სუდიასაც დაუჯერებია და მიუნდვია სიტყვით საქმეები და თვითონ ბურჯაანში წასულა.

მეორე დღეს, როდესაც საქმეები გასარჩევათ წარუდგენიათ ხოსროიანცისთვის, იმას პაღურები უკრავს: „რა ჩემი საქმეაო, ოკრუჟნის სუდის მოწერილობა არა მაქვსო, მოვიდეს სუდია და თითონ გაარჩიოსო“.

ამის გამო სილნაღში დაბარებული ხალხი ამ გაჭირებულ დროს, როდესაც მუშა დღიური შვიდი და რვა აბაზია, უკანვე დაბრუნებულან უფ. ხოსროიანცის წყალობით... ამის ჩამდენი კაცი დამიდგება და ჩივის:—სუდია მიაჩნიათ, სუდია უყვართ და მე კი ეძულვართო!

ამ ცოტა ხანში მიხაილოვკაში ორმა მოქალაქემ სცემა ერთ მაშთაანურ გლეხკაცსა—და ჩვენი გამოძიებელი ისევ იმ გლეხ კაცს აგდებდა ციხეში. ერთი მედიატორეების გადაწყვეტილება ხელმეორეთ დაშალა, რადგან მათი განჩენი იყო არა სასარგებლო გამოძიებლის ლაქიის ნათესავისათვის!...

ᲭᲝᲢᲝᲠ-ᲛᲔᲚᲗᲐᲜᲔᲚᲘ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ

—

ბატონო მეგაზეთე!

თქვენის „დროების“ გაზეთას ეკითხულობ ძველი ბებია ჩემის ნასწავლი ანბანით. ამას წინათ წავიკითხე თქვენ გაზეთაში ამბავი ჩვენი ქვეყნის სასარგებლო და ისე ჰგავს, თქვენ ჩვენი ხალხის მწყალობელი უნდა იყვეთ.

ახლა გეხოვთ, რომ ჩემი გლახა მოწერილი წიგნი თქვენ გაზეთაში ჩამიბეჭდოთ; ჯერ გაასწორეთ კი, ბატონო მეგაზეთე, თორემ დაგვცინებენ.

თფილისის სომხებს უფიქრებიან ჩვენ ქვეყანაში ადგილის, მიწის და მამულის შეძენაი. ნეტაი რა შეიყვეს: ჩვენ თუ რუსებს დავრჩით, ჩვენი ქვეყნიდან ხომ არ გაგვდენის! ჩვენს თავზედ ქვეყანა ხომ არ იქცევა, რომ ჩვენი სახელი და გვარი მოისპოს, და სომეხებს დარჩეს ჩვენი არდგილი და მამული.

ძიავ მეგაზეთე! ჩვენი მომხმარე ხარ და გაზეთაში განცხადება მიეცი, ამან, ამან ეცადე ᲐᲚᲚᲐ (ᲦᲛᲔᲠᲗᲘ გიშველის). მოგვეხმარე, ასთეი არ დავყრით ჩვენს ქვეყანას, რომე ქალაქის სომეხებმა იშოვნონ, ჩაიგდონ ხელჩი და თალმა ქნან. ისთე ᲦᲛᲔᲠᲗᲘ არ წაგვახდენს, განათლება და კაცობა არ მივიღოთ და არ მოვიხმაროთ ჩვენი არდგილ-მამული.

აქ თუ რამეა, ჩვენ გვინდა.

ჩვენ პაწაი უსამართლოდ დაცემული ვართ; ახლა კი მოველით სამართალს და კაი ცხოვრებას, ᲐᲚᲚᲐᲮ ქერიმდური (ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ვენდობით).

ჩვენი ხალხის ყოფა-ქცევაი ასეთია,

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲑᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ

(ᲑᲐᲒᲠᲫᲚᲔᲑᲐ) *)

სოხუმის მაზრის უფროსი ლიხნიდამ წავიდა; მაგრამ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ხომალდებიდამ ზარაბნების სროლა მაინც არ შესწყვიტეს.

30 აპრილს, საღამოს, სამი კაცი გამოვიდა ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ხომალდიდამ და წაუკიდეს ცეცხლი სოფ. ბუდაუდს.

შემდეგ ᲣᲐᲛᲚᲐᲗ მარღანიამ მოაგროვა ახლო-მახლო სოფლებიდამ შემოსული ხალხი და თავად-აზნაურობა წაიყვანა ფაშასთან, რომელიც ხომალდზე იყო.

ფაშამ ჰკითხა ამათ: რას აპირებენ აბხაზებიო? ჰუსსეინ ლაკერბაიმ შემდეგი პასუხი მისცა ამ კითხვაზე:

— ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲜ ჩვენ რუსების ხელში ვიყავით. ᲓᲦᲔᲡ რუსის მთავრობამ გამოგვიცხადა, რომ აფხაზეთი დიდი ქვეყანა არისო, იმის დაცვა ძნელიაო და ამის გამო ხალხს რომ რაიმე ზიანი არ მიეცეს, ჩვენ საჭიროთ დაეინახეთო, რომ ჩვენი ჯარები გავიყვანოთ აქედამაო.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ რუსებმა გვითხრეს, რომ ჩვენ არ გაგიყვანთ მტერთან საომრათაო და ვისაც თქვენი ქვეყანა დარჩება, იმას დაემორჩილეთოო. ᲐᲛᲘᲡ გამო ჩვენ იმედი გვაქვს, რომ არც ხონთქარი მოგვთხოვს, რომ გამოვიდეთ რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად და არ გვახლებთ ხელს, რადგან შეიძლება შემდეგ ჩვენ ისევ რუსების ხელში დავრჩეთ და მაშინ ჩვენი ქვეყანა და მთელი აბხაზეთის ხალხი გაუბედურებული იქნება.

— მე ვიცი, სთქვა ფაშამ, რომ აბხაზები რუსებს არ ემადლიერებიანო, ჰსურსთ იმათგან განთავისუფლება და ხონთქრის ქვეშევრდომობა. როგორც მითხრეს, ახლა იმიტომ ვერ ბედავენ ამის გამჟღავნებას, რომ თოფ-იარაღი არა აქვთ. თუ გინდათ, მე დაგირიგებთ თქვენ თოფებს, და ამ ნაირად აბხაზეთის განმათავისუფლებელნი შეიქნებით!

— ᲐᲛᲐᲖᲔᲓ უარს ვერ ვიტყვითო, უთხრა ლაკერბაიმ ფაშას, მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ ჩვენ თოფის ხმარება დაგვავიწყდა, და ამიტომ გთხოვთ განგვათავისუფლოთ ჯარში გაყვანისაგან.

ᲔᲡ სიტყვა მოეწონა ფაშას; მაგრამ აბზაზეთის შესახებ სულ სხვა პლანები ჰქონდათ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑს და ეს პლანები უნდა მოეყვანათ სისრულეში.

ᲐᲛᲘᲡ შემდეგ ᲣᲐᲛᲚᲐᲗ და ᲣᲖᲑᲔᲙ მარღანიები მივიდნენ ზღვის ნაპირას მოგროვილ აბხაზებთან და გამოუცხადეს იმათ, რომ ჰუსეინ ᲚᲐᲙᲔᲠᲑᲐᲘ გიფუჭებთ საქმეს ფაშასთანაო, „ამ უკანასკნელი ათი წლის განმავალობაში ჩვენ ᲫᲣᲓᲐᲛ მოგვდიოდა აქედამ ამბავი, რომ რუსებისაგან შეწუხებული იყავით, ჩვენც დიდებულს ხონთქარს ეეედრებოდით, რომ მოგვშველებოდა, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ მინისტრებსაც მოვახსენეთ ეს ამბავი და ახლა მოვსულვართ ჩვენი საზოგადო ქვეყნის დასახსნელად. ᲐᲛᲘᲡ გამო ვისაც გინდათ წამოდით ხომალდზე და მიიღეთ თოფ-იარაღი რუსებთან საბრძოლველად...

მომეტებული ნაწილი ხალხისა არ დათანხმდა ამათ წინადადებაზედ: მაგრამ ზოგიერთები წავიდნენ ხომალდზე და მიიღეს თოფები.

1 მაისს ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ფაშა გამოვიდა ბუდაუტში და ბრძანა, რომ ქვეევითა და ცხენოსანს აბხაზებს თოფ-იარაღი და ტყვია-წამალი დაურიგონ. ᲘᲛᲐᲕᲔ დღეს დაიარაღებული აბხაზის ჯარი სოხუმში გაგზავნეს. თვითონ ფაშაც თავის ჯავშნიან ხომალდებით ზღვით წავიდა სოხუმისაკენ.

როცა დარწმუნდნენ, რომ სოხუმში

*) „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“, № № 152, 154 და 155.

რომ ორს ამბავს ვერ ეიტანს: ყრალს ლანძღვას გაუპატიურობას (ისეც არის გურულები რომ მალ-მალ წამოგვძახვენ—ვითომ ყმათ გვშონილობენ) და ერთიც მიწა-მამულის შევაჭრებას და წართმევას.

ეს ამბავი ჩაწერეთ, ძიავ ბატონო, თქვენ გაზეთაში, თუ შესაწყნარია.

ერთი სათხოვარი მაქვს კიდოვ; თქვენი კაი კაცობა გამიგონია და იქნება ამისრულო; თქვენი „დროება“ გაზეთაი მიბოძეთ, ქობულეთს გამომიგზავნე ჩემ სახელზე...

ძველი ქართველი.

აჰმედ-ალა ქაიკაცისშვილი

ქალაქი ქობულეთი, 27 მკათათვეს.

ომის შემდეგ

ავსტრია

ერთს ავსტრიულს გაზეთში ბოსნიისა და ერცეგოვინის დაჭერის თაობაზედ იწერებიან:

„ჩვენი ჯარები იმ დრომდინ დარჩება ბოსნიასა და ერცოგოვინაში, სანამ ამ პროვინციებში ისეთი მკვიდრი წესები და მშვიდობიანობა არ დამყარდება, რომ ჩვენის იმპერიის საზღვრებს არავითარი შიში არა ჰქონდეს აჯანყებისა. როდის დადგება ეს დრო—ამის გადაწყვეტა, რასაკვირველია, ჩვენს მმართებლობაზედ იქნება დამოკიდებული; მაგრამ არა გვგონია, რომ სანამ ინგლისი არ დაუბრუნებს ოსმალეთს კიპრის კუნძულს, მანამ ავსტრიამ თავის ჯარები გამოიყვანოს ზემოხსენებულ პროვინციებიდგან.

— ვენის გაზეთს „პრესსში“ სწერენ, რომ ყარათეოდორი-ფაშას მოუვიდა სტამბოლიდამ დარიგება (ინსტრუქცია) ავსტრიასთან კონვენციის შეკვრის თაობაზედაო. სხვათა შორის ოსმალეთის მთავრობა სწერს ამ თავის დანდობილ პირსაო, რომ, თუ ავსტრია არ დათანხმდეს კონვენციის შეკვრაზე, სტამბოლში დაბრუნდიო.

მოგეხსენებათ, რომ ავსტრია არავითარ პირობის შეკვრაზედ არ დათანხმდა ოსმალეთთან. უცხო ქვეყნის გაზეთები ამ გარემოებით ხსნიან იმას, რომ ბოსნიასა და ერცეგოვინაში ხალხმა არეულობა მოახდინა და წინაღმდეგობა გაუწია ავსტრიის ჯარს: ოსმალეთი გაჯავრებული არის ავსტრიაზედაო და ამ პროვინციების ხალხს აქეზებს, ურჩევს—ნუ შემოუშვებთ ავსტრიის ჯარსაო.

რუსეთი

გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ 20 ივლისს მიღებული შემდეგი ტელეგრამმა:

„რუსები ქირაობენ ინგლისის და სხვა-და-სხვა საზოგადოებების გემებს იმ განზრახვით, რომ გადაიყვანონ აქედამ თავისი ჯარები ოდესსაში. ამბობენ, რომ ერთის თვის განმავალობაში 100,00 კაცი უნდა დააბრუნონ უკანაო. მაგრამ ეს ვარნის დათმობაზედ არის დამოკიდებული: თუ ვარნიდამ ოსმალებმა ჯარები გაიყვანეს, მაშინ რუსებს აღარაფერი აღარ დააბრკოლებს და ესენიც მიატოვებენ სტამბოლის არემარეს. მხოლოთ ბოლგარიაში დასტოვებენ 50,000 კაცს, როგორც ბერლინის ტრაქტატის გარდაწყვეტილებაა, ცხრა თვის ვადით.“

— ბუხარესტიდამ იწერებიან, რომ რუმინიაში დაყენებული რუსის ჯარი რუსეთში ბრუნდებაო. მუდამ დღე რამდენიმე პოლკი გამოივლის ხოლმე ჩვენს ქალაქზედაო.

— ის ნაწილი ბესსარაბიისა, რომელიც, ბერლინის კონგრესსის გარდაწყვეტილებით, ჩამოერთვა რუმინიას და რუსეთს ერგო, ამ აგვისტოს 20-ს უნდა ჩაიბაროს რუსეთმა და თავის გამგეობა დანიშნოს იქ.

ოსმალეთი

ოსმალეთის მთავარ ვეზირს მოსვლია შემდეგი დეპეშა სარაევოდამ:

„გუშინ, 18 ივლისს, ჩვენს ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ ავსტრიის ჯარები მოდიანო. მთელი ხალხი აღელდა ამ ამბავმა; იმწამსვე ღუბერნატორის სახლს მიმართეს და მოსთხოვეს იმას თოფიარაღი და ტყვია-წამალი, რომ დაუპატიჟებელ უცხო სტუმარს გზა შეუკრათო. ღუბერნატორმა უარი უთხრა ხალხს ამ თხოვნაზედ და ამის შემდეგ ხალხმა გადააყენა ის თავის თანამდებობიდამ.

„სარაევოში დაყენებული ოსმალეთის ჯარები შეუერთდნენ ხალხს და ყველა ამათ თანხმად ამომირჩიეს მე ღუბერნატორად. პირველი ჩემი განკარგულება

რუსის ჯარი არ იყო, 18 კაცი ოსმალოს ჯარიდამ გამოვიდნენ ნაპირზე და ცეცხლი მოუკიდეს ქალაქს...

ამნაირად, მომეტებულ ნაწილს აბხაზის ხალხს ძალად მიაჩეჩეს ოსმალებმა თოფები ხელში და გამოიყვანეს რუსებთან საბრძოლველად.

ყოველ შეტაკების, ბრძოლის დროს აბხაზები წინ უნდა მდგარიყვნენ. ყველაზე უფრო გაცხარებით იბრძოდნენ სოხუმის ახლო-მახლო სოფლების მაჰმადიანი აბხაზები.

15 ივნისამდინ ოსმალოს ჯარს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. 15 ივნისს ფაშამ განიზრახა ღენ. ალხაზოვის ჯარის დამარცხება და ამ დღეს აბხაზებსა და ჩერქეზებს მოახმარა იმან სტამბოლიდამ მოყვანილი ნიზამის ჯარიც. მაგრამ როდესაც ალხაზოვმა დაამარცხა მტერი და ბრძოლის ველი ახალგაზდა აბხაზებით მოიფინა, აბხაზებმა დაჰკარგეს იმედი, მიატოვეს ფაშა და თავიანთ მთებში, შინ, გაიქცნენ.

ამ დროს ოსმალოს ბანაკში მოვიდა ამბავი, რომ რუსებმა ხირიპს მარშანია დაატყვევესო და ამ ამბავმა კიდევ უფრო ფრთები ჩამოაყრევინა აბხაზებს.

ხირიპს მარშანია იყო კაცი გაიძვერა და ავაზაკი. ერთსა-და-იმავე დროს ის ისე ახერხებდა საქმეს, რომ ოსმალების მხარეც ეჭირა და რუსების შპიონათაც იყო, და ამ სამსახურისათვის ოსმალებიც აჯილდოებდნენ იმასა და რუსებიც. მაგრამ ბოლოს შეუტყვეს ეშმაკობა და რუსის ყაზახებმა დაიჭირეს.

15 ივლისს ფაშამ, ყამლად მარღანიას რჩევით, გამოუცხადა აბხაზეთის ხალხს, რომ ყველანი უნდა დასხდეთ ხომალდებზე და ოსმალეთში უნდა გადასახლდეთო. ფაშისა და ყამლათ მარღანიას განზრახვა ის იყო, რომ, თუ აბხაზეთი არ დარჩებოდათ, აბხაზები მაინც წაეყვანათ და სხვაგან მაინც ბრძოლის ველზე ცხენოსან ჯარად გამოეყენებინათ.

აბხაზებს ეს განკარგულება ფაშისა არაფრად ეჭაშნიკად. იმათ პირ-და-პირ მოახსენეს ფაშას:

— რას გვიშვრებით! ჯერ გამოგვიცხადეთ, რომ აბხაზეთს განგითავისუფლებთო, რუსებისაგან დაგიხსნით, თქვენ ნათესავებს დაგიბრუნებთ ოსმალეთიდამაო და ყველას თავის ადგილ-მამული გექნებათ თქვენს ქვეყანაშიო,—და ახლა გვეუბნებით, რომ ყველანი ოსმალეთში უნდა გადაესახლოთო?! თანახმა არა ვართ.. რაც მოგვივა, მოგვივა. . ისევ აქ დავრჩებით!

— რუსებმა დიდი ხანია გადაწყვიტეს, უთხრა ამათ ფაშამ, თქვენი გაქრობა დედა-მიწაზე. ახლა მიზეზი იპოვეს. თქვენ სახლს-კარს გადაწვენ, ცოლ-შვილს ამოგიჟლეტენ.. ამიტომ უმჯობესია თქვენთვის, რომ ჩვენში გადმოსახლდეთ. . .

ჯერ მაჰმადიანი-აბხაზები დათანხმდნენ. ქრისტიანებთან ფაშამ გაგზავნა ყამლათ მარღანია, რომელმანც ზოგი მოტყუებით, ზოგი მოფერებით და ზოგი ძალით დაითანხმა.

შესანიშნავია ის ოინები, რომელსაც ხმარობდნენ ოსმალები აბხაზეთში ხალხის მოსატყუებლად. ყამლად მარღანია არწმუნებდა ყველას, რომ აბხაზეთის დასახსნელად ხონთქარმა 60,000 კაცი გამოგზავნაო, მაშინ როდესაც აბხაზეთში ბევრი-ბევრი 10 ანუ 12 ათასი კაცი თუ იყო ოსმალოს ჯარი. ერთი-და-იგივე ოსმალოს ჯარი ჯერ ერთს ალაგას გამოვიდოდა ნაპირზე, მერე აქედამ ისევ ხომალდებზე ჯდებოდნენ და ღამით მეორე ნაპირზე გამოდიოდნენ; აგრეთვე ჯავშნიანი ხომალდებიც დილას ერთს ალაგას გამოჩნდებოდნენ და საღამოს მეორეს; ხალხს კი ატყვილებდნენ, რომ ეს ახალი ხომალდები და ჯარები მოვიდა სტამბოლიდამ ან ბათუმიდამაო. ამას გარდა თითქმის გაუწყნარებლივ ისროდნენ ხომალდებიდამ ნაპირებზე უშველებელ ზარბაზნებს.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ის იყო, რომ ხალხს თოფ-იარაღი და სხვა ყოველი სამხედრო მასალა დაურიგე.

„ამნაირად, ჩვენ დაიარაღებული დაუხვდებით ავსტრიის ჯარებს და რამდენათაც შეგვეძლება ვეცდებით წინაალმდეგობა გაუწიოთ იმათ.

„ჰ ა ჯ ი ლ ო ი ა“.

ამ გვარივე დეპეშა მოსვლია პორტას მოსტარიდამაც; ჰერცოგოვინის მაჰმადიანები ალსდგენ და დაიარაღებული უხვდებიან წინ ავსტრიის ჯარსაო.

— 20 ივლისს რუსეთის მხრით ლობანოვ-როსტოვსკისა და ოსმალეთის მხრით მთავარ ვიზირს საფეტ-ფაშას მოუწერიათ ხელი პირობაზე, რომლის ძალითაც ოსმალებმა თავის ჯარები ვარნიდამ დანიშნულს დრომდინ უნდა გაიყვანონ.

— „ხალხთა-შორის ტელეგრაფის საagენტო“ გვაცნობებს, რომ ოსმალეთის მინისტრების რჩევას გადაუწყვეტია, რომ უარი უთხრან საბერძნეთს ყველა იმის მოთხოვნილებაზედ.

— გაზეთის „ტაიმსის“ არზრუმელი კორრესპონდენტი იწერება, ოსმალეთის მთავრობამ გადაეყვიტაო, რომ მერსინიდამ დიარბეკირზე არზრუმამდინ რკინის გზა გაიყვანონო.

განცხადებანი

მიხელსონის სტამბაში, რომელიც იმყოფება გალავინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში, მიღებულია ყოველ ნაირი **ახალი ქართული შრიფტი,** ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ. (3—1)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

დაიბეჭდა და ისყიდება **„პატარა ბიბლიოტეკა“,** წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა, ი. გოგებაშვილის რედაქციით.

ფასი ორი შაურია, მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპეიკათა სახალხო შკოლებს, როცა ერთათ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარსა ნაღდ ფულზედ და კერძო პირებს ასს ეგზემპლიარს თუ ერთათ წაიღებენ.

წიგნი ისყიდება გამომცემლის სოლომონ ვართანოვის წიგნის მაღაზიაში. (10—3)

ორ-კლასიანი სასწავლებელი და პანსიონი ა. ჭიჭინაძისა ქ. ქუთაისში.

ა). **ყმაწვილები მიიღებიან 25 აგვისტოდამ დაწყებული 15-ს სექტემბრამდის.** ვინც დაიგვიანებს, უნდა გამოიცადოს; თუ არ ეცოდინა, რაც უკვე გავლილი იქნება სასწავლებელში, არ მიიღება.

ბ). **სწავლების ქირა** მ ო ს ი ა რ უ ლ ე ყ მ ა წ ვ ი ლ ს, რომელიც პირველ (მოსამზადებელ) კლასში იქნება მიღებული, გადახდება 5 0 მ ა ნ ე თ ი წელიწადში და მეორე კლასის (პირველს)—60 მანეთი.

პ ა ნ ს ი ო ნ ე რ ს პირველი კლასისას გადახდება 2 5 0 მ ა ნ ე თ ი და მეორისას 2 6 0 მ ა ნ ე თ ი. პანსიონერს უნდა ექნეს თავისი: ტანისამოსი, ქვეშსაგებ- ზედსახურავი, კრავატი და სასწავლო ნივთები.

გ). პანსიონში მიიღებიან მხოლოდ იმისთანა ყმაწვილები, რომელნიც ჰსწავლობენ ამ ორ-კლასიან სასწავლებელში. სხვა სასწავლებელთა ყმაწვილებისათვის ბინა არ იქნება.

დ). როგორც ქრისტეს შობის და აღდგომის დღესასწაულობისათვის, აგრეთვე საზაფხულოთ, როგორც სახელმწიფო სასწავლებლებშია, ყმაწვილები დათხოვნილნი იქმნებიან; პანსიონერები საზაფხულოთ არ დაიტოვებიან პანსიონში.

ე). ზემოაღნიშნული ქირიდამ არ გამოირიცხება ული მისთვის, რომ ყმაწვილები აღნიშნულ დროებში დათხოვილები იქნებიანჱ არც იმისთვის გამოირიცხება ფული, რომ ყმაწვილი ავათმყოფობის გამო ანუ სხვა მიზეზისა გამო კლასს დააკლდეს.

სწავლების ქირა უნდა იქნეს შემოტანილი ნახევარ წლობით წინ-ნდაწინ: პირველი ნახევარი ყმაწვილის შემოყვანისა-თანავე, სექტემბერში, და მეორე ნახევარი—იანვარში. (5—5)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს . .	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პ ტერბურღს, ვარშავას . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. პახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნია	4
დაბეჭდილის (ნამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 2 აგვისტ.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	2	—
ფქვილი წითელი . . .	1	60
ქერი ფუთი	1	35
ბამბა ერევნისა, ფუთი	7	20
—ამერიკისა, ფუთი . .	8	—
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	—
—თარაქამისა ფუთი . .	4	—
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	6	50
ქონის სანთელი ფუთი .	8	80
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	50
—ფხვნილი ფუთი . . .	5	40
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	—
თამბაქო, საშუალო ფთ.	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—თვალისა და ხირურგიულ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი —შინაგ. ბაქსტი ვენერიულისა და კანის ა. ბ ხუტოვი —საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი, ბაქსტი—გულის და ნერვების

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი გულის, ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშვილოსნო ორგანების, ა. ბახუტოვი —ქალის და ნერვების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი--ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., ბაქსტი-გულისა და პეუნოვი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Августа 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი